



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 15  
24/03/2020

15-09-4-202003241915



თელავის მუნიციპალიტეტის და დალი ხუდაბერდოვის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამიჯვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, თელავის მუნიციპალიტეტის და დალი ხუდაბერდოვის (პ/ნ 20001028251) თანასაკუთრებაში არსებული, სოფელ ფშაველში მდებარე 2126 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კოდი №53.16.44.217) განთავსებული №1 შენობა - ნაგებობიდან I სართულზე არსებული 66 კვ.მ ფართის (აფთიაქი) გამიჯვნაზე, მასზე დალი ხუდაბერდოვის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით.

2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში (მისამართი: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).





საკრებულოს თავმჯდომარე  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო